



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულო



განკარგულება:გ-87.87212161

თარიღი:04/08/2021

განკარგულება N23

2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის მორიგ არჩევნებთან დაკავშირებით ახმეტის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მასობრივი საარჩევნო ღონისძიებების ჩასატარებლად საარჩევნო სუბიექტებისათვის გამოყოფილი შენობა-ნაგებობების ნუსხის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 45-ე მუხლის მე-9 პუნქტის, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 51-ე, 52-ე, 54-ე მუხლების შესაბამისად, ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის მორიგ არჩევნებთან დაკავშირებით ახმეტის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მასობრივი საარჩევნო ღონისძიებების ჩასატარებლად საარჩევნო სუბიექტებისათვის უსასყიდლოდ გამოიყოს ახმეტის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის საკუთრებაში არსებული შემდეგი შენობა-ნაგებობები:

- ა) ქ. ახმეტაში - ცენტრალური სტადიონი;
- ბ) სოფელ ზემო ხოდაშენში - სტადიონი;
- გ) სოფელ ზემო ალვანში - კულტურის სახლი, კულტურის სახლის ეზო;
- დ) სოფელ ქვემო ალვანში - კულტურის სახლი, კულტურის სახლის ეზო;
- ე) სოფელ საკობიანოში - ყოფილი ადმინისტრაციული ერთეულის შენობის ეზო;
- ვ) სოფელ დუისში - სტადიონი;
- ზ) სოფელ ჯოყოლოში - ადმინისტრაციული ერთეულის შენობის ეზო;
- თ) სოფელ ხალაწანში - ადმინისტრაციული ერთეულის შენობის ეზო;
- ი) სოფელ კასრისწყალში - ადმინისტრაციული ერთეულის შენობის ეზო;
- კ) სოფელ მადრაანში - ადმინისტრაციული ერთეულის შენობის ეზო;
- ლ) სოფელ ომალოში (თუშეთი) - ბიბლიოთეკის მიმდებარე ტერიტორია;

მ) სოფელ ქისტაურში - სკვერი;

ნ) სოფელ ოჟიოში - სკვერი;

ო) სოფელ მატანში - სკვერი;

პ) შახვეტილა - ამბულატორიის და მოსაცდელის მიმდებარე ტერიტორია;

2. განკარგულება გამოქვეყნდეს საკრებულოს საინფორმაციო დაფაზე საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 56-ე მუხლი მე-2 ნაწილით განსაზღვრული წესით, აგრეთვე გადაეგზავნოს ახმეტის №18 საოლქო საარჩევნო კომისიას.
3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე და მისი მოქმედების ვადა განისაზღვროს არჩევნების საბოლოო შედეგების ოფიციალურ გამოცხადების დღემდე.
4. განკარგულების გასაჩივრება შეიძლება გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში თელავის რაიონულ სასამართლოში (ქ. თელავი, აღმაშენებლის ქ.№41).

თამარ ყვინიშვილი

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

